საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ქსოვრელის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	25	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	83	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი : 29.05.21

ირაკლი ქსოვრელი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ირაკლი ქსოვრელის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორიცაა პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია უნდა იქნეს გათვალისწინებული კანდიდატის შესახებ შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას სხვა გარემოებებთან ერთად აღსანიშნავია მის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლებიც გამოთქვამენ
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

		მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ და გამოყოფენ მის ისეთ თვისებებს როგორიცაა მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, კეთილსინდისიერება, პატიოსნება, თავშეკავებულობა, სამართლიანობა, მედეგობა, კვალიფიციურობა და ა.შ. რეკომენდატორებიდან ერთი უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს, კერძოდ, „კანდიდატი საკმაოდ რთულად იცვლის პოზიციას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. საწინააღმდეგო პროფესიული არგუმენტების შესაძლო სიმრავლის მიუხედავად, როგორც წესი, მაინც საკუთარ პოზიციაზე რჩება“. ფინანსური ვალდებულების შესრულების კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ქსოვრელს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. **დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის კუთხით** შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები. რაც შეეხება პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას, კანდიდატის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ქსოვრელი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

		პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით შეფასებისას, უნდა აღინიშნოს რომ კანდიდატი თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით, ირაკლი ქსოვრელის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. რაც შეეხება მხარედ მის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მონაწილეობდა სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ: დავის საგანი - იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. შედეგი - გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 09 ივლისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის** კუთხით შეფასებისას, გაითვალისწინება კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი. კანდიდატი - ირაკლი ქსოვრელი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის კანდიდატმა მოამზადა ორი სალექციო კურსი: „საკონსტიტუციო სამართალწარმოება" და კონსტიტუციური კონტროლი".

			ამ და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, მიმაჩნია რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ირაკლი ქსოვრელი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**15**	**25**	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს მის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე. გასაუბრებისას კანდიდატი ძირითადად პასუხობდა სწორად და გამართულად, თუმცა გამოვლინდა რიგი ხარვეზები და უზუსტობები. კანდიდატი არ იცნობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. სისხლის სამართალში არ გააჩნია სიღრმისეული ცოდნა.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	25	25	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20	**წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. კანდიდატმა წარმოადგინა სამეცნიერო სტატია და სამაგისტრო ნაშრომი: - საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება (Application of The Constitutional Rights by the Common Courts-Effective Remedy for Human Rights Protection); - სამაგისტრო ნაშრომი - Aggressive Tax Planning – Challenge of the Digital Era (Lund University, Spring 2015). უნდა ითქვას, რომ კანდიდატი საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად, გასაუბრებიდან გამომდინარე ახორციელებს სამართლებრივ ნორმათა სწორ განმარტებას. კანდიდატი არის ღია სიახლეებისა და განსხვავებული აზრის მოსასმენად და მის მიერ გამოთქმული ზეპირი

			მოსაზრებები არის ადვილად აღსაქმელი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მისი მიერ როგორც წერის, ასევე მეტყველების დროს გამოყენებული წინადადებები არის რთულად ჩამოყალიბებული, რაც აძნელებს ნამდვილი აზრის ზუსტ აღქმას.
პროფესიული თვისებები	14	15	**პროფესიული თვისებების კუთხით** კანდიდატის - ირაკლი ქსოვრელის შეფასებისას გასაუბრებიდან და მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის გათვალისწინებით ყურადღება იქნა გამახვილებული მის ისეთ თვისებებზე როგორიცაა: დამოუკიდებლობა, კეთილსინდისიერება, პატიოსნება, თავშეკავებულობა, სამართლიანობა, მედეგობა, კვალიფიციურობა და ა.შ. კანდიდატს არ გააჩნია სამოსამართლო გამოცდილება, ამიტომ რთულია მისი მოქმედებების განსაზღვრა სტრესულ ვითარებაში.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10	**აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ქსოვრელი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. ასევე 2013-2015 წლებში კანდიდატმა მოიპოვა შვედეთის ინსტიტუტის ვიზბის პროგრამის სტიპენდია სამაგისტრო სწავლებისათვის. ამასთან უნდა ითქვას, რომ კანდიდატი პროფესიული თვალთახედვის განვითარებაში იშვიათად მონაწილეობს.

პროფესიული აქტივობა	3	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** შეფასებისას უნდა აღნიშნოს, რომ მას აქვს მონაწილეობა მიღებული სემინარსა და შეხვედრებში. (ჩამონათვალი იხ. კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) კანდიდატი აღარ ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.
ქულათა ჯამი	83	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21